პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ ურ ი პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ ურ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს ო რ გ ა ნ ო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 იანვარი სამშაბათი **1973** *ფასი 2 კაპ.*

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 13 (15530)

ჯ ე ჯ ი ბ რ ა ე ბ ა ფ რ თ ე ბ ს ჯ ლ ი ს!

ჰ ი ა თ უ რ ი ს ა ხ ა ლ ი ფ ა ბ რ ი კ ა

ჰიათურის მარგანეცი საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება. მისი ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება.

ახალი ფაბრიკა, რომლის მშენებლობაც ჰიათურაში მალე დამთავრდება, მაღალი ხარისხის მარგანეცის კონცენტრატს გამოუშვებს. ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა საკავშირო მშენებლობადაა გამოცხადებული, ახალი საწარმო საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადაეცემა.

ს ხ ვ ა ნ ი თ ე ბ ზ ე: ზემოთ — მიმდინარეობს საწარმოს მთავარი კორპუსის გადახურვა. მარჯვნივ — მოწინავე მემონტაჟეები აკაკი კაპანაძე, ნოდარ ხომასურიძე, აკაკი ასანიძე და ბადრი ბიწაძე. მარცხნივ — მოწინავე ელექტროშეებაკალი თემურ შუკაიძე.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ს კ ო ლ ა დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ამთავრდა ზამთრის არდადეგები. სკოლა მოსწავლეთა ყრიამუდლმა მოიცვა, კლასებში და კაბინეტ-ლაბორატორიებში, სახელოსნოებში გაჩაღდა დაძაბული შრომა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაც. დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედი. ახალი ძალით, განახლებული ენერგიით ჩაღდება დიდი ლაშქრობა ცოდნის სამყაროში, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის. დიდი ლენინის მარადცოცხალი ლოზუნგი — „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!“ — ახალი ძალით ეღერს ჩვენს დროში; დიდი ბელადის ეს მოწოდება უადრესად ცხოველმყოფელია ხდება სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონის, ჩვენს დროში მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონის პირობებში, როცა ცხოვრება კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს უყენებს არა მარტო წმინდა პროფესიულ კვალიფიკაციას, არამედ შრომის დისციპლინას, სიზუსტეს, ორგანიზებულობას. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შრომისმოყვარე საზოგადოების — კომუნისტური საზოგადოების ფირსული წევრი რომ გახდეს, ბავშვს მოსამზადებელი კლასიდან მოყოლებული მართებს მტკიცედ იცავდეს ლენინის ანდერძს — „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!“ ეს თავისთავად დიდი შრომაა, რასაც ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა ეჩვევოდეს. შეუძლებელია უდისციპლინო ადამიანი მშრომელი იყოს. ასევე, ითქმის მოსწავლეზეც — შეუთავსებელია უდისციპლინობა ბეჯით სწავლასთან. ვინ უნდა აღზარდოს ბავშვში სწავლის წყურვილი და სწავლისათვის აუცილებელი თვითდისციპლინის მტკიცე შეგნება? — სკოლამ ოჯახმა, მთელმა საზოგადოებრიობამ.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებელი საშუალო სკოლა მტკიცედ განაგრძობს თავის ნაოელ ტრადიციას — იყოს ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მოწინავე კერა. იგი გარკვეულ წარმატებებს აღწევს სკოლის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, სწავლა-აღზრდის პროცესი მუდმივად განიცდის გაუმჯობესებას, შესაბამისად ცხოვრების ყველა ფეროვნ ნენსვლისა. ჩვენი სკოლის თვალსაჩინო წარმატებები მაინც არ გვაძლევენ გულდამშვიდების საბაბს; სწავლა-აღზრდაში, მოსწავლეთა აკადემიურ მომზადებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის ინტერესები მოითხოვენ სკოლაში სრული წესრიგის დამყარებას, პედაგოგიური კოლექტივების, მშობლების კომიტეტების, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივ დაძაბულ მუშაობას, ხოლო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან — ამ მუშაობისთვის შეუნელებელ ზრუნვასა და ქმედითს დახმარებას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანს მაშინ მივაღწევთ, როცა ორგანიზებულად, მაღალი პასუხისმგებლობით იმუშავებს მთელი პედაგოგიური კოლექტივი, როცა სასკოლო დისციპლინას განამტკიცებს და დაიცავს ყველა მოსწავლე, დაწყებული პირველკლასელებითა და მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეებით.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მტკიცე წესრიგი და დისციპლინა არ სუფევს რესპუბლიკის ბევრ სკოლაში, მათს პედაგოგიურ კოლექტივებში. ეს ნათლად გამოვლინდა მასწავლებელთა ივნვრის თათბირებზე, რომელთა მთავარი თემა იყო: მტკიცე შრომითი დისციპლინის დამყარება სკოლაში, პედაგოგიურ კოლექტივებში, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით.

თათბირებს წინ უძღოდა რესპუბლიკაში სახალხო განათლების ფრონტზე ფართოდ გაჩაღებული მოძრაობა — მტკიცედ დაუჭირონ მხარი თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების შრომითი კოლექტივების, ხუცუბნისა და ტყვიავის „შრომელთა ინიციატივას — „ყველა ღონისძიებით განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, იბრძოლონ სინიშნში საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა ურთიერთობაში წარსულის გადმონაშენების გამოვლინებათა წინააღმდეგ“.

შრომის რაციონალურად მოწყობისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლამ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ ნაკლოვანებანი მაინც თვალსაჩინოა. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში საგრძნობლად შესუსტდა მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა, უხეშად ირღვეოდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. ცნობილი გახდა ბევრგან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუარესების, ჩამორჩენილობის, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის, შეორეწლიანობისა და სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის ფაქტები.

„ზრდელი ყრმისა! — ძველთაგანვე ეს საპატიო სახელი შეარქვა მასწავლებელს ხალხმა. ამ საპატიო სახელის შენარჩუნება დანაშაულია, სამწუხაროდ კი ცოტა როდი გვაქვს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ცალკეული პედაგოგისა და თვით სკოლის ხელმძღვანელის პასუხისგებაში მიცემის ფაქტები. გამოვლენილნ ფაქტებზე კი არის ზომები მიღებული, მაგრამ არის მრავალ არასწორ მოქმედებათა წინაშე თვალის დახუჭვის მაგალითები. დიდძალი გამოხმაურება მოდის რედაქციაში ჩვენი გაზეთის გასული წლის 5 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „მასწავლებელი — რეპეტიტორი?“ ჭკვიანსენი — მშრომელები — აღშფოთებას გამოთქვამენ ზოგიერთი პედაგოგის უღირსი საქციელის გამო, იმის გამო, რომ ბევრ სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებაში უხეშად ირღვევა დისციპლინა, მასწავლებლები, აღმზრდელები ხშირად უმიზეზოდ აცდენენ სამუშაოს, მოუმზადებელი შედიან კლასებსა და სააღმზრდელო ჯგუფებში, უხეშად ექცევიან ბავშვებს (ამ ფაქტზე არაერთ შობილს მოუმართავს რედაქციისათვის), ტრფიალებენ, შაბლონურად ატარებენ მეცადინეობას, ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას, განსაკუთრებით გავრცელდა რეპეტიტორობის სენი. კეთილსინდისიერი პედაგოგები ხშას იმალლებენ ასეთი უღირსი კოლეგების წინააღმდეგ. საგულისხმოა წერილი, მიღებული ჩოხატაურიდან; მისი ავტორია ხოფელ ქვაბლის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, როგორც გამოირკვა, ჩინებული პედაგოგი ნ. ჩანტლაძე. იგი წერს: „კომფორსტაში“ წავიკითხე გ. პეტრიაშვილის წერილი „მასწავლებელი—რეპეტიტორი?“ რომელიც ეხება ერთი სკოლის მოსწავლის მეორე სკოლის მასწავლებელთან მოსამზადებლად გაგზავნას იმ განზრახვით, რომ იქიდან ალბათ სამაგიეროს გამოუგზავნიან და ამით გასწევენ ანგარებასა და ვალძოძალვას. ეს ამ სკოლების მასწავლელთა ხამარცხვინო და შეუწყნარებელი მოქმედებაა. ეს ალბათ ქორწილობაა, ზომა-წონაში მოტყუებაა, რის წინააღმდეგ ბრძოლა მასწავლებლებისა და აქტივის უშუალო მოვალეობაა.

ჩემი მოუთმენლობა მანძილზე ზაკუთარი სახსრებით ბევრჯერ შეშძინია მოსწავლეთათვის სასწავლო ნივთები და ხელმძღვანელობები. ასევე იქცევა ჩვენი სკოლის თითქმის ყველა მასწავლებელი.

აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის ჩვენი გზა ასეთია: გაკვეთილების შემდეგ საჭიროებისდა მიხედვით ცალკეულ საგნებში ვატარებთ დამატებით მეცადინეობას სისტემატურად. ასეთმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო“.

ამ წერილში ჩვენი სახელოვანი პედაგოგიური ოჯახის გულისტკივილია გამოხატული.

საქართველოს მშრომელება პარტიის XXIV ყრილობის დიად ამოცანათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიშნით შეეგებენ სახელოვან თარიღს — სსრ კავშირის 50 წლისთავის იუბილეს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდ საბჭოთა ინტერნაციონალურ ოჯახში, სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაბმულნი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, კვლავაც გაგრძელებენ ბრძოლას მეცხრე ხუთწლედის მესამე — გადამწყვეტი წლის ზღუდეების ასაღებად. ამ დიდი შრომის ფირფულს მბარს უნდა უამდეს ჩვენი სკოლა — ზრდიდეს მომავლის მშენებელ შეგნებულ ადამიანებს, ღირსეულ მოქალაქეებს. ასეთია ამოცანა.

ე ფ ე ქ ტ ურ ი ს ი ა ხ ლ ე ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი

ბათუმი. (საკ. კორ.). მექანიკურ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ინდუქციურ-ღუმელიანი მოსათუთებელი აბაზანა, რომელიც აქ საკუთარი ინიციატივით, საკუთარი პროექტითა და ძალებით ააშენეს. ადრინდელი ღუმელი ნახშირით ხურდებოდა და ბევრი ნაკლი ჰქონდა, ყოველ ორ თვეში უნდა დაეშალათ და ხელახლა აეწყოთ. ახლა კი ინდუქციური დენით ხურებას და რეჟიმს ავტომატური ხელსაწყოებით არეგულირებენ.

ახალი ღუმელი ძველთან შედარებით ცვლაში 3-5 ტონით მეტ ჭურჭელს თუთიებს, 10 პროცენტით ზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაღალია მისი გამოყენების კოეფიციენტი. წელიწადში 50-60 ტონა თუთიას დაზოგავს.

ინდუქციური ღუმელის აშენების იდეა ქარხანაში დაბადდა და იგი განხორციელდა ჯგუფური რაციონალიზატორული წინადადებით, რომლის ავტორები არიან ქარხნის დირექტორი გ. ებრალიძე, მთავარი ინჟინერი ნ. ჭყონია, ტექნიკური განყოფილების უფროსი მ. ვართანიანი, მოსათუთებელი საამქროს უფროსი გ. ვეორქიანი და ინჟინერი ა. ბალათურია.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, სიახლეთა ძიება, მინდობილი საქმის სიყვარული! — აი ის ძირითადი ბერკეტი, რამაც ბათუმის მექანიკურ ქარხანას, მის შეხმატკბილებულ კოლექტივს გამარჯვება მოუტანა.

მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადს ბათუმის მექანიკური ქარხნის კოლექტივი სოცშეჯიბრების გამლით კვლავაც ახალ-ახალ გამარჯვებებს მიაღწევს.

კ ე რ ა მ ი კ ო ს ე ბ ი ს ვ ა ხ ტ ი

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმოს კერამიკული კომბინატის (დირექტორი გ. ბუცხრიკიძე) კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფის ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. საიუბილეო წელი საწარმომ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 31 ათასი მანეთით გადააჭარბა, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდა 11 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 545 ცალი ნახევრად ფაიფურის ნაკეთობანი.

საწარმოს კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამლის შესახებ“ და გადიდებული ვალდებულებანი აკისრა. საამქროებში, ცალკეულ ბრიგადებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება დანაპირების განაღდებისათვის. კერამიკოსებმა თებერვის 10 დღის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით განაღდეს. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით უკვე მიიღო 1575 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 545 ცალი ნახევრად ფაიფურის ნაკეთობანი.

საამქროებს შორის დაწინაურდა და პირველი დღეებიდანვე რიტმულად, გამართულად შრომობს მასის დამამზადებელი საამქრო, რომელსაც კ. ძაგანია ხელმძღვანელობს. ბრიგადებს შორის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ამ შრომითი კოლექტივები, რომლებსაც ო. ალიმბარაშვილი, გ. მეგრელიძე, დ. ბ. ნოფურაშვილი თავკაცობენ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ ურ ი კ ო მ ი ტ ე ტ ს ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს ი

გ ა ჭ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ო თ ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი ს ა დ ა კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი ს ნ ა რ მ ო ე ბ ი ს, დ ა ვ ა ზ ა ლ ე ბ ი ს ა დ ა ა მ პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოებმა ბოსტნეულისა და კარტოფილის ნარმოების, დამზადებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესებას და რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ბოსტნეულითა და კარტოფილით შომარაგების მოგვარებას. დადგენილებაში ხაზგასმულ ია, რომ სახოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამის შესაბამისად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა თბილისის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება ბოსტნეულითა და კარტოფილით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თუმცა რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება და დამზადება, გაუმჯობესდა ბოსტნეულითა და კარტოფილით მოსახლეობის მომარაგება, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის და 1971 წლის 16 ნოემბრის დადგენილებებს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ. წლითიწლობით ვერ სრულდება ბოსტნეულის წარმოების გეგმები, განსაკუთრებით ასორტიმენტ ი ს მიხედვით. უადრესად მცირეა ხვნის, ნთვრის, კიტრისა და განსაკუთრებით მწვანილის მოსავლიანობა.

ბოსტნეულის დამზადების გეგმებს ხისტემატურად ვერ ასრულებენ წყალტუბოს (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კაკაურიძე), რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჭუთათელაძე), ჯასპის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ოდიშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. გოგიაშვილი), წალკის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. დელავერი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. მელტონიანი), ბაშის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ჩაგუნავა, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნადარეიშვილი) რაიონები, აფხაზეთის ასს რესპუბლიკა (პარტიის ხაოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ბერულავა). ასორტიმენტის მიხედვით ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმებს ვერ ასრულებენ გორდანნის (პარტიის რაიკომის უოფილი მდივანი ამხ. ბექაური, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. დოთუაშვილი), მარნეულის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. მაღალაშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყუფიეევი), გორის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ბზიშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. გოცირიძე), სამტრედიის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კოხრეიძე, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. მანჯგალაძე) და ზოგიერთი სხვა რაიონი. 1972 წელს კარტოფილის დამზადების გეგმები ვერ შეასრულეს დმანისის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. მანთაშაშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხიმაილოვი), წალკის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. დელავერი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბელტონიანი), თიანეთის (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. მაღლიაშვილი, რაიალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლომჯარია) რაიონებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა (პარტიის ხაოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჯუსოევი, ხაოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჭიოევი).

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სისტემატურად ვერ ასრულებს ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმებს, არ თესავს ბოსტნეულის კულტურებს იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის დამზადების გეგმის რეალიზაციას. ზოგიერთი მეურნეობა კი, რომლებსაც აქვთ ბოსტნეულის წარმოების პირობები, ამ საქმეს არ მისდევს. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ისეთებიც კი, რომლებსაც აქვთ ამის პირობები, ნაკლებად მისდევენ საადრეო ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებას, მაშინ როცა ამ რაიონების მოსახლეობა საკარმიდამო ნაკვეთებზე ამ კულტურების უხვ მოსავალს იღებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები (ამხანაგები რთველიაშვილი და ღვინჭილია) დამაკმაყოფილებლად ვერ წყვეტენ ბოსტნეულის კონდიციური თესლის წარმოებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ასეთი თესლით უზრუნველყოფის საკითხებს. მთელ რიგ მეურნეობებში თესავენ ბოსტნეულისა და კარტოფილის დაფარიონებელ თესლს, თანაც ცუდი ხარისხისას.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ წარმოებს ბოსტნეულისა და კარტოფილის დახარისხება, არ ანიშნებენ მათ სასაქონლო სახეს, არღვევენ მოსავლის აღებისა და გატანის ვადებს, რაც მოსავლის დიდ დანაკარგებს იწვევს. ცუდად არის ორგანიზებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხალბოსტნის“ (თავმჯდომარე ამხ. შარაშიძე) დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პროდუქციის ჩაბარება-მიღების მუშაობა. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობასა და დამამზადებელ პუნქტში არის წამატებისა და უსაქონლო ოპერაციების ფაქტები, როგორც ეს იყო, მაგალითად, გარდაბნის რაიონის მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში. იშვიათი როდია პროდუქციის მოპარვისა და დატაცების შემთხვევები.

ბევრ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მებოსტნეთა სოციალისტური შეჯიბრება ფორმალური ხასიათისა, წარმოების ყოველ უბანზე არ მიმდინარეობს ნამდვილი ბრძოლა ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებისა და მთლიანი მოსავლის მკვეთრი ზრდისათვის.

———

(დასასრული მე-2 გვ.).

ა. ნ. კოსიგინი ორენბურგში ჩავიდა

ორენბურგი, 14 იანვარი. (საკავშირო). დღეს ორენბურგში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ე. დიმიშიცი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ს. ნეპოროჟნი და ნ. ა. ორეხოვი.

აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინსა და მასთან ერთად ჩამოსულ ამხანაგებს დახვდნენ სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ვ. კოვალენკო, ორენბურგის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ა. ნ. ბალანდინი, ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ა. ნაუმენკო.

თ ა თ ბ ი რ ი ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ს ი

ლენინგრადი. 13 იანვარი. (საკავშირო კორ.). დღეს აქ დამთავრდა საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილეს ლენინგრადის საოლქო და საქალაქო აღმასკომების შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაობის გამოცდილება სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. ეს საქმიანი შეხვედრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოაწყო.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ა. შჩოლოკოვმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 14 იანვარს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, პროფესორ

გ ი ო რ გ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს - ძ ე ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
კომპარტიის	სსრ უმაღლესი	სსრ
ცენტრალური	საბჭოს	მინისტრთა
კომიტეტი	პრეზიდიუმი	საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

ზეიმობა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გიორგი ნიკოლოზის-ძე ჩუბინაშვილის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. ეკეკა (თავმჯდომარე), ი. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, ხ. აბგელდიანი, ვ. ბერიძე, შ. ბუხრაშვილი, ო. თაქთაქიშვილი, გ. თოთიბაძე, ა. ფარანგაშვილი, ა. შანიძე, დ. ჩხიკვაშვილი, ი. ციციშვილი, ნ. ჯაბერიძე.

გ. ნ. ჩუბინაშვილის დაკრძალვა მოხდება თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

გ. ნ. ჩუბინაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გ. ნ. ჩუბინაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 16 და 17 იანვარს განსვენებულის ბინაზე, ორჯონიკიძის ქ. № 20 აღამოს 7 საათზე. 18 იანვარს გ. ნ. ჩუბინაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნება თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, ჯავაჯაძის პრ. № 1.

განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება 2 საათიდან. დაკრძალვა — დღის 4 საათზე უნივერსიტეტის ბაღში.

ს ი ფ რ ე ბ ი ს ე ნ ი თ

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა. ციფრები და ფაქტები“ — ასე ეწოდება ლამაზ წიგნ-ალბომს, რომელიც ახლახან გამოუშვა გამომცემლობა „კოლოსმა“. ამ გამოცემის ნარკვევები და დიაგრამები გვიჩვენებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ზრდას.

წიგნი გვიამბობს: „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სისტემას შეადგენენ 33,6 ათასი კოლმეურნეობა, 15 ათასი საბჭოთა მეურნეობა. მათ აქვთ 512,3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, აქედან 207 მილიონი ჰექტარი სახნავი, 2 მილიონი ტრაქტორი, 623 ათასი მარცვლის ასაღები კომბაინი, 1,2 მილიონი სატვირთო ავტომობილი, 5 მილიონი ელექტროძრავა“.

ამ გამოცემაში ბევრი საინტერესო ფაქტია მოყვანილი. მაგალითად, აღნიშნულია, რომ 1913 წელს გლეხები შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის 82 პროცენტს, ხოლო 1971 წელს 1 იანვრისათვის — 43 პროცენტს.

კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი 12-ჯერ გაიზარდა. წიგნში მკაფიოდ არის ნაჩვენები ცვლილებანი, რომლებიც საბჭოთა სოფლის კულტურასა და ყოფა- ცხოვრებაში მოხდა.

გამოცემა გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

(საკავშირო კორ.).

გავაუმჯობესოთ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების, დამზადებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების ორგანიზაცია

(დასასრული).

ეოველივე ამის, აგრეთვე მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ნაკლები ყურადღების შედეგია სწორედ, რომ ხერხოზული ნაკლოვანებანი გვაქვს ბოსტნეულითა და კარტოფილით მოსახლეობის მომარაგებაში. სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ხაკმო რაოდენობით არ არის ახალი ბოსტნეული და კარტოფილი, რაც მომხმარებლებს ხშირად აიძულებს შეიძინონ ეს პროდუქტები ხაკოლმეურნეო ბაზრებში გადიდებულ ფასად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დადგენილებაში მოცემულია გაშლილი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების, დამზადებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების მოგვარებას ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დადგინეს:

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ხოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასკომებს, კოლმეურნეობების გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექციებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა განმტკიცდეს შრომისა და ხალხმეწიფო დისციპლინა ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში, ამაღლდეს თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების და დამზადების, აგრეთვე მათი ასორტიმენტის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. დადგენილებაში მოცემულია აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვანი მითითებანი, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების, და დამზადების საქმის გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები მოვალენი არიან 1973 წლის უზრუნველყონ რესპუბლიკაში 10-12 ათასი ტონა ხაადრეი კარტოფილის დამზადება, ამასთან ისე, რომ ხუთწლიდის დამლევისათვის მისი დამზადება გაიზარდოს 15 ათას ტონამდე. ამ სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ მეთესლეობის მეურნეობათა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების ღონისძიებანი. საქმე ეხება ბოსტნეულის კულტურების თესლის წარმოებაზე დამატებით ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სპეციალიზაციას.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა უნდა უზრუნველყოს საბჭოთა მეურნეობებში გამმკვირავლი ოუსკით მწვანილის გადახურვა მომდინარე წლის ზამთრის პერიოდში 50 ჰექტარზე მეტ ფართობზე, 1974 წელს — 80 ჰექტარზე, 1975 წელს — 100 ჰექტარზე. ამასთანავე მოაწყოს ბამდორის ოესსა-მოყვანი მავთულის შპალერებზე მომდინარე წელს 200 ჰექტარზე, 1974 წელს — 400 ჰექტარზე, 1975 წელს — 600 ჰექტარზე.

მწვანილის წარმოებაში გამომუშავების ნორმები უნდა გადაიხედოს, რათა ამ საქმეში დასაქმებული მუშები მებოსტნეობაში მომუშავეებზე ნაკლებ ანაზღაურებას არ იღებდნენ.

დაწყებული მომდინარე წლიდან, მოსახლეობისაგან ბოსტნეულისა და კარტოფილის საგეგმო დამზადება დაეკისრა ეეკავშირს. ეეკავშირს დაეკისრა აგრეთვე მოვალეობა განახორციელოს ღონისძიებანი, რომ გაადიდოს მოსახლეობისაგან ბოსტნეულისა და კარტოფილის შესყიდვა და თბილისში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა სარეწველო ქალაქებში ამ პროდუქტების შეტანა და რეალიზაცია.

დამტკიცებულია 45 ჰექტარზე ბოსტნეულის წარმოებისათვის ხათბურების მშენებლობის 1973-1975 წლების გეგმა. 1975 წლის დამლევისათვის ხათბურების ხაერთო ფართობი მიაღწევს 65 ჰექტარს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს სამუშაოთა დაბალი ტემპი და მოსთხოვეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ქობულია) მომდინარე ხუთწლედის დამლევამდე განახორციელოს უწინარეს ყოვლისა რო, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი მოწინავე მებოსტნეებსა და მეკარტოფილეებს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, აჯილდოებენ სამინისტროების და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპატიო სიგელებით, ამავე დროს გადასცემენ სანავორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს, ტურისტულ საგზურებს, ტრანზიტორებს, ფოტოაპარატებს, ხათებს, ელექტროსამართებლებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავე მებოსტნეებსა და მეკარტოფილეებს რიგგარეშე მიეყიდებათ 300 მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი", „ეიგული" და „ზაპოროჟეცი".

დადგენილია, რომ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნონ რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები, განყოფილებები და რგოლები, რომლებმაც უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის ამაღლების, წარმოების მოცულობის, სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების და პროდუქციის დადგენილი ასორტიმენტის, თვითღირებულების შემცირების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის ხაოლქო, რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს, პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ფართოდ გაშალონ რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, განყოფილებებისა და რგოლების სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის, ნათესების დამუშავების, მოსავლის აღების ხანამუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის და ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების, დამზადებისა და რეალიზაციის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების მაღალი მაჩვენებლებისათვის, ბროდუქციის ასორტიმენტის დაცვისა და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ხახელმწიფო კომიტეტს წინადადება ეძლევათ გააშალონ მუშაობა, რათა ყოველმხრივ გააცნონ მშრომელებს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების და დამზადების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი, გამოავლინონ ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონების მუშაობის ნაკლოვანებანი. უფრო ხშირად და დაწვრილებით გააშუქონ საავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობა ბოსტნეულისა და კარტოფილის გაყიდვისათვის.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ეკალება „საქკონსერვხილბოსტნის" ხახელმწიფო კომიტეტთან, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებთან, შესაბამის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშაოს მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა და გათვალისწინოს მოსახლეობის მთლიანად დაკმაყოფილება ამ პროდუქტებით, მრეწველობისა კი ნედლეულით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების და დამზადების შემდგომი განვითარების გეგმები განიხილონ როგორც დიდი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ყოველწლიურად ამაღლების ინტერესებიდან. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას, ნათქვამია დადგენილებაში, დასჭირდება სოფლის კომუნისტთა, კომკავშირელთა, ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მუშაკის დიდი მეცადინეობა იმისათვის, რომ გაიჩაღონ ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება, აამაღლონ თვითეული სოფლის მშრომელის საქმისადმი ინიციატივა, ინიციატივა, ინიციატივა.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

ნოე ცხოვრებაძემ ორმოც წელს გადააბიჯა და თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაატარა. საშუალო სკოლადამთავრებული თუხელი ჭაბუკი ზესტაფონში ჩამოვიდა, მეტალურგთა სასწავლებელში შევიდა. ორ წელს გულმოდგინედ სწავლობდა მეტალურგის რთულსა და საინტერესო ტექნოლოგიურ პროცესებს, ფეროშენადნობთა მიღების საიდუმლოებას.

უნარიანმა ახალგაზრდამ სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და 1950 წლიდან ფეროშენადნობთა ქარხნის პირველ საღნობ საამქროში ელექტროსადნობი ღუმელის მეაპარატედ დაიწყო მუშაობა. შემდეგ მდნობელი იყო. ათი წელი მდნობელთა ბრიგადას უძღვებოდა, არც ძალას ზოგავდა და არც გამოცდილებას. მისი ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაში მუდამ გამოირჩეოდა, ლითონის ღნობის დავალებას გადაჭარბებით ასრულებდა, მხოლოდ მაღალი ხარისხის შენადნობს უშვებდა, ელექტროენერგიას და დამზმარე მასალებს ზოგავდა. ნ. ცხოვრებაძის ბრიგადამ საწარმოში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის სპეციალური წოდება.

მოწინავე ბრიგადირი მიღწეულს არ სჯერდებოდა, იგი სრულყოფდა პროფესიულ დაოსტატებას, ბეჯითად კითხულობდა ლიტერატურას მეტალურგიული მრეწველობის მიღწევებზე. ესწრებოდა ლექციებს, ახლის ძიებაში იყო.

დახელოვნებული ბრიგადირი ნ. ცხოვრებაძე ორი წელია ცვლის ოსტატად დააწინაურეს. ასეთმა დაფასებამ შრომისუნარიანობა და მონდომება გაუორკეცა.

წარმატების ორგანიზატორი

იგი პირველი საღნობი საამქროს პირველი, მეორე და მესამე ელექტროსადნობი ღუმელების ცვლის ოსტატია. მან ერთსულოვან კოლექტივად დარაზმა მდნობელები. ცვლის ოსტატსა და მის მეგობრებს ერთი მისწრაფება ასულდგმულებთ — მოწინავე გამოცდილების დანერგვით, შეჯიბრების ფართოდ გაშლით სამშობლოს მისცეს მეტი ძვირფასი ფეროშენადნობები.

ცვლის ოსტატი და მისი მეტალურგები ეძებენ და ნახულობენ საღნობი ღუმელების წარმადობის ზრდის ახალ-ახალ გზებს. ეს ნ. ცხოვრებაძე ოჯახურ საუბრებში ამბობს ხოლმე. ეს ამბავი ოჯახურ საუბრებში ამბავია, ოჯახურ საუბრებში ამბავია, ოჯახურ საუბრებში ამბავია,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის კომიტეტი

კომიტეტმა განიხილა 1973 წელს ოფსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარმოდგენილ კანდიდატურათა მასალები და მათი განხილვის შემდეგ, დებულების თანახმად, მსჯელობისთვის ტურად შემდეგი კანდიდატები:

ლიტერატურის დარგში

1. ლენინაძე მურმან ხელოვანის-ძე — 1970-1971-1972 წლებში გამოქვეყნებული პოემები და ლექსები, რომლებიც შესულია „ერთობრიველში" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1972).

წარმოადგინა ჟურნალ „მნათობმა" რედაქციამ და სარედაქციო კოლეგიამ.

2. ჩარკვიანი ჯანსუღ ავდიის-ძე — წიგნები „რწმენის კედელი" (გამომცემლობა „მერანი", 1970), „მონატრება", „ჯაჭვის თორნი" (გამომცემლობა „მერანი", 1972).

წარმოადგინა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ეთნოგრაფიული წარმოების კოლექტივი.

მუსიკის დარგში

3. ნახიძე სულხან ივანეს-ძე — ამერული სიმფონია № 3 და მეორე სიმფონიები ქვარტეტი.

წარმოადგინა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა.

სახვითი ხელოვნების დარგში

4. ბერძენიშვილი მერაბ ანდრიას -ძე — ფანდაკება „მეფე" (ბიჭვინთაში).

წარმოადგინა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ.

5. გრიგოლია ვლადიმერ დავითის-ძე — ფოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული გაფორმება (გამომცემლობა საბჭოთა საქართველო", 1971), ფაფა ტაბიძის თხზულებანი (12 ტომად) მხატვრული გაფორმება („საბჭოთა საქართველო", 1972), მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა (80 ტომად) მხატვრული გაფორმება („საბჭოთა საქართველო", 1971-72), ქართველ მწერალთა პორტრეტები — გრაფიკული სერია, 1966-1972 წლები.

წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმმა.

კინოდოკუმენტალისტიკის დარგში

6. ასათიანი გიორგი ირაკლის-ძე — სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „საქართველო, ლენინგრადი და სინამდვილე", „ჟილეტი, ქართველთ მხარე".

წარმოადგინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინოდოკუმენტალისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა.

7. მანაგაძე შოთა ილიას-ძე — (დამდგმელი რეჟისორი), ჟენტი სურენის ილიას-ძე (სკენარის ავტორი), ჭიაურელი სოფიო მიხეილის ასული (მთავარი როლის შემსრულებელი), რაჭველიშვილი გიგა ვიქტორის-ძე (დამდგმელი ოპერატორი), — მხატვრული ფილმი „წეროთესოსელი".

წარმოადგინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინოდოკუმენტალისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფოლისტთა კავშირის სათეატრო-ორატორო სექციამ.

თეატრალური ხელოვნების დარგში

8. რაქმანიშვილი ნინო შალვას ასული, ხუციშვილი ილია ილიას-ძე — 1971-1972 წლებში შექმნილი ანსამბლი „ციციბინა" და ამ წლებში საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

წარმოადგინეს საქართველოს სახელმწიფო თეატრმონინის დირექციამ, საქმაოდ ოფლარმონიის, პარტიულმა ორგანიზაციამ და ადგილკომმა, ფრეთვე საქართველოს სსრ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა.

არქიტექტურის დარგში

9. ჩხენკელი ივანე ნოეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობა.

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

საბავშვო ლიტერატურის დარგში

10. მრევლიშვილი მაკვალა ალექსანდრეს ასული — უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

წარმოადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირმა, ჟურნალმა „დილამ", ჟურნალმა „საქართველოს ქალმა", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა, საბავშვო წიგნის სახლმა.

• • •

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეალიზაციისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ყველა დაინტერესებულ პირს ფართო მონაწილეობა მიიღოს რუსთაველის პრემიაზე წარდგენილ ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა ყოველმხრივ განხილვაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

ომის ვეტერანთა საქალაქო კრება

ბაღდათა საქართველოს დედაქალაქის ომის ვეტერანთა კრება, რომელმაც მოისმინა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარის, ედამდგარი გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჯანჯიკაძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა მერე კონფერენციის შედეგები და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გაძლიერების ამოცანები". კონფერენციამ განიხილა ასევე „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

თბილისში მცხოვრები ომის ვეტერანები, აღნიშნა მომხსენებელმა, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მშრომელების, მეტადრე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს საქართველოს დედაქალაქში და რეს პუბლიკის რაიონებში, აწყობენ სამხედრო-სამეცნიერო თეორიულ კონფერენციებს, ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას წვევამდელი და ესაწვევი ასაკის ახალგაზრდობას შორის, უზიარებენ მათ თავიანთ საბრძოლო გამოცდილებას.

საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში, უფრო ხშირად ეწყობოდეს სახელმოხვეჭილი გენერლების, ოფიცრებისა და საბჭოთა კავშირის გმირების შეხვედრები ომის ვეტერანთა მუშაკებთან. მაღალ დონეზე უნდა იდგეს ბიჭვინთი პრომაგანდა. ქვეყნდებოდეს მართალი, საინტერესო ნოხები. სტატიები, ნარკვევები. მოგონებანი დიდი სამამულო ომის გმირებზე — ჩვენი ხალხის სახელოვან შვილებზე, უფრო ხშირად ეწყობოდეს მათდამი მიძღვნილი რადიო და ტელევიზიებიები.

კრებამ აირჩია საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის ხექციის პრეზიდიუმი.

ხექციის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ედამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯიკაძე, თავმჯდომარის მოადგილედ — ედამდგარი გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ედამდგარი პოლკოვნიკი მ. ბუსკაძე.

მოხსენება საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის შუამდგ საზოგადოებრივ კომისიათა შექმნის შესახებ გაკეთა ედამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ.

მუდმივ საზოგადოებრივ კომისიათა თავმჯდომარეებად და თავმჯდომარეთა მოადგილეებად აჩრეული არიან: ორგანიზაციული მუშაობის კომისიისა — ედამდგარი გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე და ედამდგარი კონტრ-ადმირალი მ. ჯინჭარაძე; რეკოლექციებისა, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდისა — ედამდგარი გენერალ-მაიორები გ. ყურაშვილი და მ. ნაზაროვი; დაფუძნებულ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფისა — ედამდგარი გენერალ-მაიორი მ. შიქელაძე და ედამდგარი პოლკოვნიკი ს. შაპოკაღლოვი; ბეჭდვითი პროპაგანდისა — ედამდგარი გენერალ-მაიორი დ. შანშაშვილი და ფრონტელი მწერალი გ. ნატროშვილი; ქალთა შორის მუშაობისა — თადარიგის კაპიტანები მ. მუშკუდიანი და გ. ჯაფი; ახალგაზრდობას შორის მუშაობისა — ედამდგარი გენერალ-მაიორი ვ. ბოლოტნიკოვი.

ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელების ნიმუში □

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პენინგრადის ობლასტის საბჭოს ოლქკომის, ლენინგრადის ოლქის აღმასკომის, ლენინგრადის ოლქის ეკონომიკური ადმინისტრაციის, ლენინგრადის ოლქის ფინანსთა სამმართველოს

საქართველოს ეთა-ბარეთ

ეიექლვნა ქართული თეატრის დღეს

საქართველოს თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თარიღი: 1850 წლის 14 იანვარი — ქართული პროფესიული თეატრის დაარსების დღე. ქართულ თეატრს მდიდარი ტრადიციები აქვს, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს. მას მუდამ ახასიათებდა თავისთავადობა, ხალხურობა, მგზნებარე პატრიოტიზმი, მასებში ეპოქის მოწინავე იდეების გავრცელებისადმი მისწრაფება.

თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრი მოწინავე ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებელია და ხელს უწყობს ახალი ადამიანის აღზრდას. ქართული თეატრების ბევრი დადგმა საუკეთესოდ არის აღიარებული და დიდი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ქართველ დრამატურგთა პიესები იდგმება მოძმე თეატრების სცენებზე.

რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოება ტრადიციისამებრ ყოველწლიურად 14 იანვარს აღნიშნავს ქართული თეატრის დღეს. ამ დღეს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში შეიკრიბნენ თეატრალური მოღვაწენი, მსახიობები, თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

თეატრის დანიშნულებაზე, მის მაღალ იდეალებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა დ. ამირბეკიანმა, მ. პიასეცკიმ, დ. მუკელიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ეგადეძემ, დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა, პროფესორმა ს. ხუციშვილმა.

თეატრალზებულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახალხო არტისტებმა მ. ჯაფარიძემ, ი. ტრიპოლსკიმ, ე. მალალაშვილმა და კ. მახარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მ. მაჩვილაძემ, ზ. კვერენჩხილაძემ, მსახიობებმა ჯ. მონიავამ, ზ. იოსელიანმა, რ. ყირმელაშვილმა, მ. ბიბილეიშვილმა, ა. ბუაძემ, ნაჩვენები იყო ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: ჟ. ანუის „ანტიგონედან“, რომელიც რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა დადგა, გ. ხუხაშვილის „მოსამართლიდან“, კ. ბუაჩიძის კომედიიდან „ოქრო ქაცი ბეშვის ქოვანის ლეკსები და საკუთარი ნაწარმოები.

საღამოზე ს. ჩიქოვანის ლექსები წაიკითხეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ზ. კვერენჩხილაძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

კონცერტში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მოღვაწილი მ. შილდელი, კონცერტმასტერი ე. გოძიაშვილი, მეფანდურეთა ანსამბლი.

საღამოს მონაწილეებმა ნახეს დოკუმენტური კინოფილმები, რომლებშიც აღბეჭდილია საიუბილეო ზეიმი ს. ჩიქოვანის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად და პოეტთან ჯამოსახვების დღე. (საქინფორმი).

ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲣᲚ ᲒᲐᲚᲔᲒᲡ

ᲒᲐᲗᲣᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). ჩაი და ციტრუსები ქობულეთისა და ხელვაჩაურის კოლმეურნეობების წამყვანი კულტურაა. ამიტომაც მათს გაშენებასა და მოვლას დიდი ყურადღება ექცევა.

მიუხედავად იმისა, რომ საპლანტაციოდ სასარგებლო რეზერვები სუბტროპიკულ ზონაში ცოტაა, მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობით შენდება ახალი პლანტაციები. მარტო გასულ წელს ქობულეთისა და ჩილვანაურის რაიონებში გაშენდა 68 ჰექტარი ციტრუსები და 40 ჰექტარი ჩაი. აქედან ხელვაჩაურის რაიონმა გაშენების გეგმა 125 პროცენტით შეასრულა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲠᲐᲛᲜᲘᲫᲝᲕᲘ — ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ მოცეკვავე, პლასტიკური გამომსახველობის შესანიშნავი მფლობელი, ასე გიცნობდით მას პრესის ფურცლებიდან და ტელევიზიის გადმოცემებით. ამ დღეებში მიხეილ ბარიშნიკოვი ჩვენს მაყურებელთა წინაშე წარსდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „ეიზეღში“, სადაც ალბერის პარტიას ცეკვავდა. ვირტუოზულმა ტექნიკამ, გამოსახვის პლასტიკურმა მხარემ მაყურებელს განაცდევინეს დიდი ესთეტიური სიამოვნება, რაც გამოიხატა იმ ოვაციებით, ყოველი ეცკის ცეკვის დროს განუწყვეტლივ თან რომ ხდებოდა მის გამოსვლას.

ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრს ბევრი ბრწყინვალე შემსრულებელი ჰყავს. მიხეილ ბარიშნიკოვი ერთ-ერთი პირველთაგანია მათ რიცხვში. დიდი საშემსრულებლო ტექნიკა, თანდაყოლილი მუსიკალობა, შერწყმული დიდ შრომისს გულმოდგინებასთან ბარიშნიკოვს უმაღლესი კლასის მოცეკვავედ აქცევს. ეს არის მისი ყველა გამარჯვების საფუძველი.



საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მიხეილ ბარიშნიკოვი 18 და 20 იანვარს ერთხელ კიდევ დიდ სიხარულს განაცდევინებს თბილისის ბალეტის მოყვარულებს ბაზილიოს პარტიის შესრულებით მინკუსის ბალეტ „დონ-კიხოტში“.

რ. მაჩაიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲚᲠ ᲮᲐᲚᲮᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲘᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ.

ᲮᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ თემᲐᲐ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ თანამედროვენი და მისი გმირები და სხვ. ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ თავისი ახალი ნამუშევარი — ტრიპტიხი „ჩემი საქართველო“, რომელიც წარმოდგენილი იქნება მხატვრის მომავალ პერსონალურ გამოფენაზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲚᲠ ᲮᲐᲚᲮᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲜᲐᲫᲔ ᲮᲐᲮᲔᲚᲝᲮᲜᲝᲨᲘ; ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ — ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ Კ. ᲮᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲢᲠᲘᲞᲢᲘᲮᲘᲓᲐᲜ „ᲔᲤᲔᲖᲘᲡᲢᲣᲐᲜᲘᲡᲐᲜ“ ᲛᲖᲘᲗᲔᲕᲨᲘ“.

Ბ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲜᲘᲭᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ გამომცემლობა „მერნ�ᲔᲡ“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის გიგლა ფირცხალავას ნამუშევართა გამოფენა. კარიკატურისა და შარჟის ამ აღიარებულ ოსტატს, მოქანდაკეს, ილუმორისტული ნოველებისა და ლექსების ავტორს 50 წელი შეუსრულდა.

გ. ფირცხალავას გამოფენის გახსნა მიუღოცეს გამომცემლობა „მერნის“ დირექტორმა, პოეტმა კ. კალანდიამ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ჯ. ლოლუამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. ლომაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა რ. ლაღიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბ. ბაბაქიძემ და დ. ციმაკურიძემ, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორმა, მწერალმა ნ. დუმბაძემ.

გამოფენას. რომელზეც მხატვრის 200 ნამუშევარია წარმოდგენილი, დიდი წარმატება აქვს. (საქინფორმი).

ᲙᲘᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲧᲝᲜᲯᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ახლახან აქ გაიხსნა ჰიგიენის სახლი, სადაც დაინერგება ადამიანთა ჯანმრთელობის გაჯანსაღების საშუალება — ჰიდროპათია. მოწყობილია შხაპებით, ჟანგბადის, მარგალიტისა და წიწვის ბაზანებით მკურნალობა. ერთდროულად საათში ჰიგიენის სახლს შეუძლია მოემსახუროს 55 მოქალაქეს.

სახლის მეორე სართულზე მოეწყო ქალთა და მამაკაცთა სალონი.

ᲒᲖᲐᲚᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲨᲕᲚᲘᲡ ᲜᲣᲙᲠᲘ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ კვიროკეში ზამთრის სუსხიან დღეს შემოიჭრა დედას მოწყვეტილი, ზგადაბნეული შვლის ნუკრი. უსოსური ცხოველი უცხო გარემოში დამფრთხალი აწყდებოდა სოფლის შუკებსა და ორღობეს.

კოლმეურნე ნ. ვერულიძემ და მოსწავლე კ. ვერულიძემ ამარჯვეს, ნუკრს გზა ჩაუკეტეს და შეიპყრეს. შემდეგ დაუტკბნენ, საჭმელიც მისცეს, მაგრამ ტყის უწყინარი შვილი მაინც ვერ დაამშვიდეს. ამის შემდეგ მზრუნველმა ვერულიძეებმა ნუკრი თეკერიის ნაკრძალის უფროსს ნ. კაიკაცაშვილს ჩაუყვანეს. (საკ. კორ.).

Ა. ᲒᲘᲒᲘᲕᲘᲫᲔ

სამოცდამეთერთმეტე წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი პოლკოვნიკი არკადი სპირიდონის-ძე გიგეშიძე.

სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის ღარიბი გლეხების შვილმა ა. გიგეშიძემ სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო წითელარმიელიდან პოლკოვნიკამდე.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში გამოიჩინა მან მხურვალე სიყვარული და ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი. 1921 წლის ოქტომბრიდან, როგორც კომკავშირელი, იგი მონაწილეობდა პარტიის მთელ რიგ საპასუხისმგებლო ოინსსძიებათა განხორციელებაში.

ა. გიგეშიძის მამაცობა, გულოდობა და ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში, რომლის აქტიური მონაწილეც იგი იყო.

ომისშემდგომ პერიოდში ა. გიგეშიძე მისი დამახასიათებელი შრომისმოყვარეობით გულმოდგინედ ახმარდა თავის მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეს.

იგი კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1927 წლიდან.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ა. გიგეშიძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. ქალაქ სევასტოპოლის დაცვისათვის ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით.

არაადი გიგეშიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

თუ გაიხსენებთ, დაახლოებით ამ ორი ათეული წლის წინათ რამდენჯერ გულდაყვეტილებს გვითქვამს, რატომ ასე უგემოვნოდ ფორმდება ჩვენი სახელგანთქმული ღვინოებისა თუ მინერალური წყლების, ჩაისა თუ თამბაქოს ეტიკეტები. და განა მარტო ამ ნაწარმისა! რამდენი დასახელების სამრეწველო საქონელს უშვებს ჩვენი მრეწველობა, ანდა რა სახე ჰქონდა ჩვენს ვიტრინებსა თუ რეკლამებს?

ამ უკანასკნელ წლებში კი მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება. ჩვენი მხატვრები, არქიტექტორები სულ უფრო და უფრო იჭრებიან ადამიანის ყოფაცხოვრებაში და თანდათანობით ყოველი საგანი ოერს იცვლის. მხატვრულად ლამაზად ფორმდება. ეს ერთგვარად ხელს უწყობს ადამიანის გემოვნების დახვეწას, მის ესთეტიკურ აღზრდას.

და თუ რამდენად შეიცვალა ჩვენი სამრეწველო საქონლის გაფორმების, მისი რეკლამის საქმე, ამას ნათლად ადასტურებს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში მოწყობილი სამრეწველო გრაფიკის პირველი გამოფენა.

აქ თავისი ნამუშევრები ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე პირველად გამოიტანეს ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიზაინერმა-გრაფიკოსებმა.

— ჩვენს ფილიალში სულ ცხრა წელია, რაც შეიქმნა სამრეწველო გრაფიკის განყოფილება, — გვითხრა ფილიალის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არქიტექტორმა ზ. თავართქილაძემ, — აქ მომუშავე დიზაინერი-გრაფიკოსების ვიდრეობას და სიყვარულით მოგონებენ პოეტსა და მოქალაქეს, რომელმაც ესოდენ დატოვა თავის მადლიერ მკითხველებში.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲧᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ამაზე ილაპარაკა საღამოზე საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა.

სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავ შემოქმედებაზე, მასთან შეხვედრებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ასევე კრიტიკოსმა გ. მარგველაშვილმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ა. სულაკაურმა, ლიტერატურათმცოდნემ ვ. მაჭავარიანმა, პოეტ ჟ. ლუგოვსკის მეუღლემ მ. ლუგოვსკაიამ, მთარგმნელმა ჟ. ღოღობერიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა, რომელმაც წაიკითხა ს. ჩიქოვანის ლექსები და საკუთარი ნაწარმოები.

ᲡᲐᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სარეკლამო ფურცლები — „მუსიკალური ინსტრუმენტი „საქართველო“, მინერალური წყალი „ზვარე“, სუნამო „ავთანდილი“.



ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲯᲐᲚᲢᲘᲜᲒᲡᲘ. ჩინებული ფინში ჰქონდა საახალწლო ტურნირში გროსმაისტერ ლარსენს. მან ზედიზედ მოიგო რამდენიმე შეხვედრა, უკანასკნელ ტურში დაამარცხა ახალგაზრდა ოსტატი ჰარტლტონი (ინგლისი) და დაეუფლა პირველ ჯილდოს. ლარსენს 15 შესაძლებლიდან 11,5 ქულა აქვს. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გროსმაისტერი ულმანი (ვფრ). მესამე ადგილი 9,5 ქულით დარჩა ოსტატ ჰარტსტონს, მეოთხე — გროსმაისტერ ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) — 9 ქულა. ᲥᲣᲚᲗᲝᲗ მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყვეს გროსმაისტერებმა ტუქმაკოვმა (საბჭოთა კავშირი) და რადულოვმა (ბულგარეთი). მსოფლიოს ᲩᲔᲛ-ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ სმისლოვი (საბჭოთა კავშირი) 7.5 ქულით მეეცხრე ადგილზე გამოვიდა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გაიმართა საზონთაშორისო ტურნირის საგზურებს პრეტენდენტთა შეჯიბრების უკანასკნელი, მეექვსე შეხვედრა. მუხინ-კუზნეცოვის პარტია მშვიდად მიმდინარეობდა და გადაიდო რთულ პოზიციაში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. დღეს რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში იხსნება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. მასში მონაწილეობას მიიღებს არაერთი ცნობილი მოჭადრაკე. მათ შორის გროსმაისტერები ბრონშტეინი (მოსკოვი) და გურგენიძე (თბილისი).

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲖᲔ

ᲡᲡᲠ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ 37-ე ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ, რომელიც როსტოვში მიმდინარეობდა, წარმატებით გამოვიდნენ მოსკოველები ირინა როდინანა და ალექსანდრე ᲧᲐᲝᲘᲕᲘ. მსოფლიოს ოთხსაზისა და საპოროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ი. როდინანა და მისი ახალგაზრდა პარტნიორი გამოირჩეოდნენ როგორც მაღალი სისწრაფით, ისე დახვეწილი მოძრაობითა და ბალეტიზმით. მსაჯებმა მათ ერთსულოვნად მიაკუთვნეს პირველი ადგილი — 415,7 ქულა.

ახალგაზრდა მოსკოველებმა ირინა ჩერნიაევამ და ვასილ ბლაგოვმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს — 406,8.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲛᲔᲝᲗᲔ გამარჯვება ზედიზედ მოიპოვა მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში „კაუნასის „ᲥᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲐ“. ამჯერად მან 17 ქულის სხვაობით დაამარცხა თბილისის „დინამო“ (87:70).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლეში შაბათსა და კვირას გაიმართა საკავშირო პირველობის პირველი ჯგუფის კალენდარული შეხვედრები თბილისის „ბურევესტნიკსა“ და რიგის სკა-ს შორის. პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 79:76, ხოლო მეორე შეხვედრაში წარმატება სტუმრებს ხვდათ — 94:89.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ — ლუდმილა სპირნოვა და ალექსეი ულანოვი — მესამე ადგილზე გამოვიდა — 404,9.

საერთაშორისო შეჯიბრების „მოსკოური ციგურების“ ლაურეატები, ნორჩი ლენინგრადელები ირინა ვორობიოვა და ალექსანდრე ვლასოვი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდნენ — 391,8 ქულა.

მწვავედ მიმდინარეობდა კონკურენცია ვაჟთა შორის. შეჯიბრება ჯველაზე უკეთ განვლო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორმა, მოსკოველმა სერგეი ჩეტვერუხინმა, რომელმაც მეექვსედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი — 271,42 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლენინგრადელი იური ოვჩინიკოვი და მოსკოველი სერგეი ვოლკოვი.

რაც შეეხება ქალთა ერთეულებს, აქ სპეციალისტები ჯერ-ჯერობით პრიორიტეტს 13 წლის მოსკოველ მარინე სანაიას აკუთვნებენ.

მოცეკვავეთა დუეტების პაექრობას სათავეში თავიდანვე ჩაუდგნენ მსოფლიოს ჩემპიონები ლიუდმილა პახომოვა და ალექსანდრე გორშკოვი, რომლებმაც გაიმარჯვეს 408,9 ქულით. დანარჩენი წყვილები პრაქტიკულად მეორე და მესამე ადგილებისათვის იბრძოლნენ. მოსკოველებმა ტატიანა ვოიტიუკმა და ვიაჩესლავ ეიგალინმა 391,1 ქულით ვერცხლის მედლები მოიპოვეს, მოსკოველებმა ირინა მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა — ბრინჯაოსი (375,0 ქულა).

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ დასაწყისში ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად თბილდა. დასავლეთ საქართველოში დღისით 10-15 გრადუსი სითბო იყო. 8 იანვრიდან ნალექები დაიწყო, მაგრამ კვლავ თბილოდა.

12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ აცივდა. როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობეს თბილისის ამინდის ბიუროში, ჩვენს ტერიტორიაზე გავრცელება იწყო არქტიკული წარმოშობის მაერის ცივმა ფენებმა. 13 იანვარს საქართველოს მეტ წილ რაიონებში თოვდა. თოვლის საფარის სიმაღლემ წალეკაში მიაღწია 120 სანტიმეტრს. ბულოში — 110, ბაკურიანში — 60, ბორჯომში — 40, ქუთაისში — 27, ბათუმში — 16, სოხუმში — 11 სანტიმეტრს.

ᲒᲣᲜᲘᲗ, 15 იანვარს, დღის 12 საათისათვის ხაშურში იყო 6 გრადუსი ყინვა, გორში — 5, თბილისში, მუხრანში — 4, ლაგოდეხში — 5, მანგლისში, დუშეთში — 7, ახალქალაქში — 12 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოში კი ამ დროისათვის მშრალი ამინდი იყო. თოვდა მხოლოდ გოდერძისა და ზეკარის გადასასვლელზე. სოხუმში, ტყიბულში აღინიშნა ერთ გრადუსი ყინვა, საჩხერეში — 6, ცაგერში — 8 გრადუსი ყინვა.

ᲓᲦᲔᲡ, 16 იანვარს, **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** მოსალოდნელია მოღრუბლულობა, თოვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბაზრ 3 გრადუსი ყინვა — ერთი გრადუსი სითბო, მთაში — 5-9 გრადუსი ყინვა.

ᲐᲦᲐᲛᲗᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ იქნება მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 10-14 მეტრის სიძლიერის ქარი, ტემპერატურა ბარში ნული — 4 გრადუსი, მთაში 6-10 გრადუსი ყინვა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მოსალოდნელია დილით ნისლი, თოვა, ტემპერატურა ნული გრადუსი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეხუთეკლასელთათვის. ორი წერტილის სიმეტრიის ღერძების აგება), 11.25 — სატელევიზიო სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (I სერია), 13.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეხუთეკლასელთათვის. ორი წერტილის სიმეტრიის ღერძების აგება (განმეორებით), 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 18.10 — მოსწავლეთათვის „ტელევიქტორინა“, 18.50 — „მეცნიერება სოფელს“, 19.15 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 20.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში (გადმოცემა დონის როსტოვიდან), 22.00 — „ეკრანია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, 23.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 23.40 — „სპორტული კვირეული“.

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა (მერვეკლასელთათვის დეკარტის ნახაზის შედგენა. ᲠᲐᲖᲘᲡᲘᲡ) 17.50 — ისტორია (მერვეკლასელთათვის რუსეთის სახელმწიფო ოვალი მეოთხის დროს), 18.35 — განცხადებები, 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.10 — კინოპროგრამა „ჩიხოვის მოთხრობები“, 21.10 — მხატვრული ფილმი „დახლართული ჯაჭვი“.

17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მეშვიდეკლასელთათვის. მჟავების შემადგენლობა და ცნება მჟავური ნაშთის შესახებ), 11.25 — სატელევიზიო სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (II სერია), 12.35 — კინონარკვევი — „სამი დაფნის გვირგვინი“, 13.00 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მეშვიდეკლასელთათვის. მჟავების შემადგენლობა და ცნება მჟავური ნაშთის შესახებ) გამეორებით, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (წარმატებით ვემზადოთ ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. ფაკულტატური მეცადინეობა მეშვიდემეათეკლასელთათვის), 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — რეკლამა, 18.05 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად“ — „მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები“, 18.25 — საბავშვო სპექტაკლი — „ნაცარქექია“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 20.05 — ქართული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები, 20.35 — „გიყვარდეს შენი ქალაქი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სოფლის თემა ქართულ მწერლობაში“, 22.00 — „ეკრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ჩინებული ჭაბუკი“.

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (მეცხრეკლასელთათვის. ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნის ზოგიერთი საკითხი), 17.50 — საქართველოს ისტორია, 18.35 — განცხადებები, 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — ტენიკურ მექანიკაში, 19.40 — ხაზვაში, 20.40 — კინოფიშა“, 21.10 — მხატვრული ფილმი — „სიმღერის დასასრული“.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲗᲝᲕᲚᲘ, ᲧᲘᲜᲕᲔᲑᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ დასაწყისში ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად თბილდა. დასავლეთ საქართველოში დღისით 10-15 გრადუსი სითბო იყო. 8 იანვრიდან ნალექები დაიწყო, მაგრამ კვლავ თბილოდა.

12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ აცივდა. როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობეს თბილისის ამინდის ბიუროში, ჩვენს ტერიტორიაზე გავრცელება იწყო არქტიკული წარმოშობის მაერის ცივმა ფენებმა. 13 იანვარს საქართველოს მეტ წილ რაიონებში თოვდა. თოვლის საფარის სიმაღლემ წალეკაში მიაღწია 120 სანტიმეტრს. ბულოში — 110, ბაკურიანში — 60, ბორჯომში — 40, ქუთაისში — 27, ბათუმში — 16, სოხუმში — 11 სანტიმეტრს.

ᲒᲣᲜᲘᲗ, 15 იანვარს, დღის 12 საათისათვის ხაშურში იყო 6 გრადუსი ყინვა, გორში — 5, თბილისში, მუხრანში — 4, ლაგოდეხში — 5, მანგლისში, დუშეთში — 7, ახალქალაქში — 12 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოში კი ამ დროისათვის მშრალი ამინდი იყო. თოვდა მხოლოდ გოდერძისა და ზეკარის გადასასვლელზე. სოხუმში, ტყიბულში აღინიშნა ერ